საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-14/ნ

27 თებერვალი 2014 წ.

ქ. თბილისი

„სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-**20** მუხლის მე-**4** პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2012** წლის **23** მაისის **№01-27**/ნ ბრძანებაში (**www.matsne.gov.ge; 24/05/2012; 470230000.22.035.016145)** შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების წლიური ფორმების ჩამონათვალი (დანართი **N1),** ფორმები (დანართი **N2)** და მათი წარდგენის ვადები და წესი (დანართი **N3);**

ბ) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების კვარტალური, ყოველთვიური და ოპერატიულ-ელექტრონული ფორმების ჩამონათვალი (დანართი **N4),** ფორმები (დანართი **N5)** და მათი წარდგენის ვადები და წესი (დანართი **N6).”;**

ბ) მე-**2** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**2.** სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულმა (ქალაქის) ცენტრებმა უზრუნველყონ:

ა) დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის (შემდგომში - ცენტრი), სამედიცინო

დაწესებულებების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ანგარიშების თანდართული ჩამონათვალის, ფორმებისა და ვადების მიხედვით (დანართები **N1 - N6**), როგორც ქაღალდის მატარებელზე, ისე ელექტრონულად;

ბ) ცენტრში დადგენილ ვადებში უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ანგარიშების ჩასაბარებლად პასუხისმგებელ პირთა მივლინება.";

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:

„**2[1].** სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სტატისტიკური ფორმების შევსებაზე უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრა და სტატისტიკური ანგარიშების მაქსიმალური სიზუსტით წარმოებაზე კონტროლის განხორციელება.";

დ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**3.** ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) სამინისტროსა და სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) ნაერთი ანგარიშების წარდგენას დადგენილი წესის და ვადების მიხედვით;

ბ) სამედიცინო დაწესებულებებში სტატისტიკურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა კონსულტირებას და სათანადო მომზადებას მოთხოვნის შემთხვევაში.".

2. ბრძანებით დამტკიცებული **N1, N2, N3, N4, N5** და **N6** დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი



დავით სერგეენკო